საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.07.2019

საჩივრის რეგისტრაციის №101/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. გ.-ის მიმართ, /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საჩივრის ავტორმა 2019 წლის 31 ივლისს ეთიკის კომისიას მომართა საჩივრით და მოითხოვა ადვოკატ მ. გ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მ. ხ.-მა 2016 წლის აპრილის თვეში ქუთაისში საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, მიმართა ადვოკატ მ. გ.-ს. საჩივრის ავტორს იურიდიული დახმარება სჭირდებოდა მისი, როგორც იპოთეკარის მიერ გაფორმებულ სესხისა და იპოთეკის სამი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით.

1.2 ადვოკატმა მ. ხ.-ს განუცხადა, რომ ის შეძლებდა ყველა საქმისწარმოებას, რის შემდეგაც 2016 წლის 11 აპრილს ადვოკატის სახელზე საჩივრის ავტორმა გააფორმა მინდობილობა. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მხარეებს შორის არ გაფორმებულა. ადვოკატმა ჰონორარის სახით თითოეული ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, დავის საწარმოებლად მოითხოვა 500 ლარი.

1.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატს მინდობილობის გაფორმებამდე უთხრა, რომ საქმეებიდან მიღებული თანხები მის ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო და აღნიშნულ ნაწილში ადვოკატს არ ანიჭებდა უფლებამოსილებას განეკარგა მისი ფულადი სახსრები.

1.4 მ. ხ.-ის განმარტებით, მან მინდობილობის გაფორმების შემდეგ წაიკითხა მისი შინაარსი და აღმოჩნდა, რომ რწმუნებულებაში ფულადი სახსრების განკარგვის უფლება იყო მითითებული. 2016 წლის 14 დეკემბერს საჩივრის ავტორმა ახალი მინდობილობა გააფორმა ადვოკატის სახელზე და ამავდროულად, გააუქმა ძველი მინდობილობა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა როგორც ძველი მინდობილობის გაუქმების სანოტარო აქტი, აგრეთვე, ახალი მინდობილობა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან აღმოაჩინა, რომ ადვოკატი მ. გ. მაინც მოქმედებდა გაუქმებული მინდობილობის ფარგლებში. კერძოდ, სააღსრულებო ბიუროს მიერ მისთვის გადასახდელი თანხა ადვოკატმა პირად ანგარიშზე მიიღო - 3797 ლარი, 4 თვის შემდეგ ადვოკატმა დაუბრუნა მ. ხ.-ს აღნიშნული თანხა - 3797 ლარი.

1.6 იურიდიული მომსახურების პერიოდში, ადვოკატი მ. გ. წარმოადგენდა სასამართლოში საჩივრის ავტორის ინტერესებს ცალ-ცალკე საქმეებზე ი. კ.-ის, მ. ქ.-ის და თ. ხ.-ის წინააღმდეგ დავებში. აღნიშნული დავები გამომდინარეობდა მ. ხ.-ს მეირ გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებიდან.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ი. კ.-ის მიმართ არსებული დავის ფარგლებში იმოქმედა მის წინააღმდეგ. კერძოდ, ადვოკატმა აღიარა მოვალის ი. კ.-ის მიერ თითქოს მ. ხ.-ს მიმართ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება - 6100 აშშ დოლარი, რომელიც სასამართლომ გაიზიარა, როგორც ერთადერთი მტკიცებულება და მოვალის ფულად დავალიანებას გამოაკლო. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის მასთან შეუთანხმებლად მოქმედებამ მიაყენა კიდევ დამატებითი ფინანსური ზიანი.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. გ.-მ იმოქმედა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მ. ქ.-ის წინააღმდეგ დავის დროსაც. კერძოდ, გ. ბ.-თან (უძრავი ქონების მესაკუთრე) გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქმეზე (სადაც თანაიპოთეკარები იყვნენ მ. ხ. და მ. ქ.) ადვოკატმა „მოტყუებით“ მიაღებინა აუქციონზე მონაწილეობა, რის შედეგადაც გ. ბ.-ის უძრავი ქონება შეიძინა მ. ხ.-მა. აუქციონის გზით ქონების შეძენამდე, ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ მეორე თანაიპოთეკარი - მ. ქ. არ მოსთხოვდა ფულადი ვალდებულების შესრულებას, თუმცა მ. ქ.-მა მიმართა ცაგერის რაიონულ სასამართლოს მ. ხ.-ს წინააღმდეგ სარჩელით.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ მ. გ.-ის მითითების შესაბამისად, მას გადაურიცხა 700 ლარი - მ. ქ.-ის წინააღმდეგ სასამართლოში საქმისწარმოებისთვის. მ. ხ.-ს ადვოკატმა განუმარტა, რომ მ. ქ.-ს არ ჰქონდა უფლება კიდევ მიემართა სასამართლოსთვის მის წინააღმდეგ, თუმცა რამდენიმე თვეში მ. ქ.-მა კვლავ მიმართა სასამართლოს სარჩელით მ. ხ.-ს წინააღმდეგ.

1.10 საჩივრის ავტორმა ადვოკატ მ. გ.-ს მისი მოთხოვნის შესაბამისად, ჩაურიცხა - 900 ლარი იმ მიზნით, რომ კვლავ ეწარმოებინა მ. ქ.-ის მიმართ საქმე. ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ ამის შემდეგ „მ. ქ.-ს უფლება არ ჰქონდა მის მიმართ წარედგინა სარჩელი სასამართლოში“.

1.11 საჩივრის ავტორმა ადვოკატს მისი თხოვნით აგრეთვე დამატებით გადაურიცხა 500 ლარი, რადგან განუმარტა, რომ მოდავე მხარის ბინიდან გამოსახლების პროცესის შემდეგ მას იპოთეკისგან გათავისუფლებულ ბინას ჩააბარებდა.

1.12 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას შემდეგ რაც მან აუქციონის გზით შეიძინა გ. ბ.-ის ბინა, ადვოკატმა მ. გ.-მ უთხრა, რომ დროულად გაეყიდა აღნიშნული ბინა, რადგან მ. ქ. ისევ უჩივლებდა. შედეგად, ადვოკატ მ. გ.-ს საჩივრის ავტორისათვის არ განუმარტავს მ. ქ.-თან არსებული დავის სამართლებრივი შედეგები, კერძოდ რა შედეგები მოყვებოდა საქმეში თანაიპოთეკარის არსებობას, რამაც ის 20 000 დოლარზე მეტი ზიანის საფრთხის ქვეშ დააყენა. აღნიშნულის შემდეგ, საჩივრის ავტორმა, 2019 წლის 25 მარტს გააუქმა ადვოკატზე გაცემული მინდობილობა.

1.13 საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმეების წარმოებასთან დაკავშირებით, ადვოკატ მ. გ.-ისთვის გადახდილი აქვს სულ - 6620 ლარი, აქედან, 550 ლარი ხელზე აქვს გადაცემული, დანარჩენი გადარიცხული საბანკო ანგარიშზე, თუმცა გადარიცხვის დანიშნულებაში მიზნობრიობა არ აქვს მითითებული, რადგან აღნიშნული ადვოკატს მისთვის არ განუმარტავს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის განმარტებით, მ. ხ.-მა იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით მას მიმართა 2016 წლის აპრილის თვეში. იურიდიული მომსახურება შეეხებოდა მ. ხ.-ს მიერ გაფორმებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებს. ადვოკატის განმარტებით, მან სასამართლოში შვიდი სხვადასხვა საქმე აწარმოა, რომელთაგანაც მ. ხ. 3 საქმეზე იყო მოსარჩელე, ხოლო 4 საქმეზე მოპასუხე. აქედან 2 იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების დავა, ხოლო 5 სამოქალაქო სამართალწარმოების. აღნიშნული დავებიდან 6 დავა დასრულებულია მ. ხ.-ს სასარგებლოდ, ხოლო ერთზე მიმდინარეობს განხილვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

2.2 ცაგერის რაიონულ სასამართლოში საქმის საწარმოებლად ადვოკატს საჩივრის ავტორმა გადაუხადა 700 ლარი, რაც მოიცავდა საქმეზე გასაწევ ხარჯებსაც. აღნიშნული თანხიდან ადვოკატმა სარჩელის უზრუნვლყოფაზე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი, სარჩელის წარდგენისას - 376 ლარი, დანარჩენი თანხა ადვოკატს მგზავრობაში დაეხარჯა. ადვოკატის განცხადებით, მოპასუხე მხარემ მოცემულ საქმეზე გაასაჩივრა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რის გამოც მას საქმეზე რამდენჯერმე მოუწია ცაგერის რაიონულ სასამართლოში ჩასვლა და შესაბამისად მოცემულ საქმეზე მან საადვოკატო მომსახურება უანგაროდ გასწია. ადვოკატი განმარტავს, რომ გარდა აღნიშნულისა, მ. ხ.-ს სახელით სააღსრულებო წარმოების განხორციელების ფარგლებში გადახდილი აქვს 1800 ლარამდე, აგრეთვე, სარჩელის უზრუნველყოფისათვის საჭირო სახელმწიფო ბაჟის თანხები და აუდიტის დასკვნისთვის საჭირო თანხა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, გარდა აღნიშნულისა მ. ხ.-ს სახელით განცხადება წარადგინა ორ სააღსრულებო საქმეზე ი. კ.-ისა და თ. ხ.-ის მიმართ. თ. ხ.-ის მიმართ სააღსრულებო წარმოება დასრულებულია და იძულებითი აუქციონის შედეგად მ. ხ. გახდა უძრავი ქონების მესაკუთრე. გ. ბ.-ის მიმართ დავა დასრულდა მ. ხ.-ს მიერ იძულებითი აუქციონის წესით უძრავი ქონების შეძენის გზით. ადვოკატის განცხადებით, ორივე აუქციონში მ. ხ.-მა პირადად მიიღო მონაწილეობა და დღეს მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება აღნიშნული პირების იძულებითი გამოსახლების შესახებ მისივე პირადი განცხადებით.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანი უთითებს, რომ ის დაეხმარა მ. ქ.-ს და მ. ვ.-ს, თუმცა ერთხელაც არ უნახავს არცერთი მათგანი სასამართლო პროცესზეც კი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მ. ხ.-ს სააღსრულებო წარმოება გ. ბ.-ის მიმართ დაწყებული ჰქონდა მასთან მისვლამდე ერთი წლით ადრე, კერძოდ, 2015 წლის 02 აპრილს, შესაბამისად, გ. ბ.-ის საქმესთან მას არავითარი შეხება არ ჰქონია.

2.6 ადვოკატის განცხადებით, თ. ხ.-ის მიმართ სააღსრულებო საქმის წარმოების შესახებ განცხადება მის მიერ არის შეტანილი მ. ხ.-ს სახელით, სააღსრულებო საქმე დასრულებულია და დღევანდელი მდგომარეობით მ. ხ. არის უძრავი ქონების მესაკუთრე, ასევე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ყოფილი მესაკუთრეები გამოსახლებულნი არიან უძრავი ქონებიდან.

2.7 თანხის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნულ საქმეზე მსგავს ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, თუმცა ის ამ თანხას არ დაუფლებია და ტერა ბანკიდან (და არა საქართველოს ბანკიდან) გადაურიცხა მ. ხ.-ს. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო იმით, რომ აუქციონში მას მონაწილეობა არ მიუღია, მონაწილეობა მიიღო პირადად მ. ხ.-მა და აქედან გამომდინარე მისთვის არავის შეუტყობინებია თანხის ჩარიცხვის შესახებ, ხოლო როცა შეიტყო აღნიშნული ფაქტის შესახებ, იმავე დღეს მოხდა თანხის გადარიცხვა მ. ხ.-ის ანგარიშზე.

2.8 ადვოკატი ი. კ.-ის საქმესთან დაკავშირებით განმარტავს, რომ 6100 აშშ დოლარის მიღების ფაქტი აღიარებულია მ. ხ.-ს მიერ წარმოდგენილი სააღსრულებო ფურცლით, კერძოდ, სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმებულია 2014 წლის 15 აპრილს 6 თვის ვადით 3,68%-ის დარიცხვით. ადვოკატის განმარტებით, მ. ხ.-მა სააღსრულებო ფურცელი აიღო პირადად 2016 წლის 15 აპრილს, რომლითაც ის ითხოვდა ძირითად თანხას და 2015 წლის 15 ოქტომბრიდან (შემდეგ შესწორება შეიტანა და 2015 წლის სექტემბრიდან) მხოლოდ პირგასამტეხლოს. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მ. ხ. არ ითხოვდა პროცენტს და შესაბამისად, აღიარებული ჰქონდა პროცენტის და 11 თვის პირგასამტეხლოს მიღება.

2.9 ადვოკატის განცხადებით, თ. ხ.-ის სარჩელთან დაკავშირებით, სადაც მოსარჩელე ითხოვდა მ. ხ.-თან გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმებას ვალდებულების შესრულების საფუძვლით, ადვოკატმა მ. ხ.-თან შეთანხმებით აღიარა, რომ თ. ხ.-ის მიერ გადარიცხული თანხები ეკუთვნოდა ი. კ.-ის იპოთეკის ხელშეკრულებას. ამის შემდგომ, ადვოკატის

განმარტებით, მოხდა თ. ხ.-ის გამოსახლება და აღიშნული ქონება მ. ხ.-ს საკუთრებაშია. ასევე, ადვოკატის განცხადებით, მ. ხ.-ს მიღებული აქვს 13 600 დოლარი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – სამოქალაქო სამართლის.

3.2 მ. ხ.-მა ეთიკის კომისიას მომართა 2019 წლის 31 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდებოდა 2016-2019 წლებში. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30.1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. გ.-მ საჩივრის ავტორის ნების საწინააღმდეგო მოქმედებები განახორციელა, კერძოდ, მასთან შეუთანხმებლად, გაუქმებული მინდობილობის ფარგლებში პირად ანგარიშზე ჩარიცხვით მიიღო საჩივრის ავტორის ფულადი სახსრები;

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. გ.-ის მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატმა კეთილსინდისიერად ... უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

5.3 ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერად საქმისწარმოება გულისხმობს კლიენტთან შეთანხმებით საადვოკატო მომსახურების განხორციელებას. კლიენტის სახელით მოქმედებას სამართლებრივი ძალა აქვს და შესაბამისად, ადვოკატი მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს.

5.4 „კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მას, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებულ ქმედებას მესამე პირები კლიენტის ნების გამოხატულებად განიხილავენ და

როგორც წესი, ეჭვქვეშ არ აყენებენ ადვოკატის საიმედოობასა და კეთილსინდისიერებას.“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №057/10, 2011 წლის 07 მარტი).

5.5 შესაბამისად, კეთილსინდისიერების პრინციპი ვერ იქნება დაცული, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი კლიენტთან შეუთანხმებლად იმოქმედებს გაუქმებული მინდობილობის ფარგლებში.

5.6 მ. ხ.-მა თავდაპირველად ადვოკატ მ. გ.-ის სახელზე გასცა მინდობილობა 2016 წლის 11 აპრილს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მას არ სურდა მინდობილობით ადვოკატისთვის მიენიჭებინა უფლებამოსილება - მიეღო, მარწმუნებელს მისი კუთვნილი ფულადი სახსრები, თუმცა აღნიშნული მინდობილობით მაინც განისაზღვრა, რაც საჩივრის ავტორმა მოგვიანებით აღმოაჩინა და შესაბამისად მინდობილობაც გააუქმა და ახალი მინდობილობა გააფორმა ადვოკატ მ. გ.-ის სახელზე 2016 წლის 14 დეკემბერს(იხ. პუნქტი 1.4).

5.7 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მინდობილობის, როგორც სანოტარო აქტის არსი დაფუძნებულია მარწმუნებლის მიერ გამოხატულ ნებაზე, რომლის ნების გარეშე თავისთავად მინდობილობა არ გაიცემა. მ. ხ.-ს მიერ გაფორმებული 2016 წლის 11 აპრილის სანოტარო აქტიც ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ის, როგორც მარწმუნებელი იცნობდა გარიგების შინაარს, რაც გამოხატავდა მის რეალურ ნებას, რაც მითითებულია მინდობილობაშიც.

5.8 არ არსებობს საკმარისი ვარაუდი იმის დასასაბუთებლად, რომ ადვოკატ მ. გ.-ის მოქმედების შედეგად, მ. ხ. არ გაეცნო მინდობილობის შინაარს, კერძოდ არ ჰქონდა შესაძლებლობა მინდობილობით ადვოკატისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებების ჩამონათვალს გაცნობოდა. საჩივრის ავტორი თავად ადასტურებს, რომ ის მხოლოდ მოგვიანებით გაეცნო რწმუნებულების შინაარს და გააუქმა იგი.

5.9 მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატი გაუქმებული მინდობილობის ფარგლებში მოქმედებდა საჩივრის ავტორის ნების საწინააღმდეგოდ, კერძოდ, საჩივრის ავტორი ზოგადად უთითებს აღნიშნულ პრეტენზიაზე. არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ კოლეგიამ ივარაუდოს, ადვოკატმა გამოიყენა თუ არა გაუქმებული მინდობილობა, როგორც მ. ხ.-ს წარმომადგენელმა, კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტი წარუდგინა თუ არა სააღსრულებო ბიუროს მაშინ, როდესაც უკვე ის გაუქმებული იყო და მიიღო თუ არა აღნიშნულის საფუძველზე, კლიენტის საქმიდან გამომდინარე მიღებული თანხა - 3797 ლარი მისი ნების საწინააღმდეგოდ და ამასთან, მოთხოვნის მიუხედავად დროულად გადასცა თუ არა ადვოკატმა საჩივრის ავტორს აღნიშნული თანხა. საქმეში წარმოდგენილი 2018 წლის 17 ივლისის საბანკო გადარიცხვით დასტურდება, რომ ადვოკატმა მ. ხ.-ს გადაურიცხა 3797 ლარი.

5.10 შედეგად, არ დგინდება ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის სავარაუდო დარღვევა, კერძოდ, ადვოკატის მიერ გაუქმებული მინდობილობის ფარგლებში კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ მოქმედება.

5.11 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა საჩივრის ავტორთან შეუთანხმებლად სასამართლო სხდომაზე აღიარა საჩივრის ავტორის მოვალის მიერ არსებული

ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება; ამასთან, ადვოკატმა არ განუმარტა მას საქმესთან დაკავშირებით იძულებითი აუქციონის ჩატარების წესი და მისი სამართლებრივი შედეგები;

5.12 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. გ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

5.13 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ადვოკატის პროფესიული ღირებულებებისა და მის მიერ ეთიკური ვალდებულებების დაცვის საფუძველზე ყალიბდება. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება გულისხმობს სწორი და სრულყოფილი ინფორმაციის დროულად და ჯეროვნად მიწოდებას, რაც უზრუნველყოფს საქმის მსვლელობის პროცესში კლიენტის ჩართულობას.

5.14 „ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მის ინტერესებს. საქმისწარმოებისას საქმესთან დაკავშირებულ არსებით გადაწყვეტილებებს კლიენტი უნდა იღებდეს. ეს შეიძლება იყოს: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარი, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი (საქმე №022/11, 2011 წლის 03 ივნისი17).

5.15 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე 022/10 აღნიშნა რომ ,,ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები“.

5.16 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა მ. გ.-მ მისი ნების საწინააღმდეგოდ აღიარა მოვალის - ი. კ.-ის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება სასამართლო სხდომაზე (იხ. პუნქტი 1.7). საქმეში წარმოდგენილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ადვოკატი მ. გ. მ. ხ.-ს, როგორც მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა ი. კ.-ის მიმართ. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოპასუხე მხარემ დაადასტურა, რომ მოსარჩელის მიერ გადახდილ იქნა 6100 აშშ დოლარი. მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს, იმის თაობაზე, მოქმედებდა თუ არა ადვოკატი კლიენტის პოზიციის საწინააღმდეგოდ.

5.17 ამ შემთხვევაში, ადვოკატი მ. გ. არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიას და უთითებს, რომ საჩივრის ავტორთან შეთანხმებულად იმოქმედა და გაცემული სააღსრულებო ფურცლით მ. ხ.-ს აღიარებული ჰქონდა პროცენტისა და 11 თვის პირგასამტეხლოს მიღება (იხ. 2.7 პუნქტი).

5.18 საპროცესო კოლეგიამ უნდა შეაფასოს საჩივრის ავტორის პრეტენზია, რაც ეხება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას საქმესთან დაკავშირებით ჩასატარებელი აუქციონის შესახებ, რაც აგრეთვე მოიცავს კლიენტისათვის კვალიფიციური განმარტების მიცემას საქმის მიმდინარეობის და შესაძლო სამართლებივი შედეგების თაობაზე.

5.19 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა „მოტყუებით" მიაღებინა აუქციონში მონაწილეობა საქმესთან დაკავშირებით, კერძოდ, არ განუმარტა, რომ აუქციონის შედეგად შეძენილ ქონებაზე გარდამავალი იპოთეკა იარსებებდა, ამასთან არასწორი ინფორმაცია მიაწოდა და განუცხადა, რომ აუქციონის ჩატარების შემდეგ, მისი მოდავე მხარე აღარ მიმართავდა სარჩელით სასამართლოს მის წინააღმდეგ, თუმცა საჩივრის ავტორს მოდავე მხარემ - მ. ქ.-მა რამდენჯერმე მიმართა სასამართლოს მის წინააღმდეგ.

5.20 მოცემულ შემთხვევაში, გარდა საჩივრის ავტორის პოზიციისა არ არსებობს საკმარისი დასაბუთებული ვარაუდი, იმისათვის, რომ კოლეგიამ დაადგინოს ადვოკატის მიერ ინფორმირების ვალდებულების სავარაუდო დარღვევა.

5.21 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატ მ. გ.-ისათვის საქმეთა წარმოების ფარგლებში გადაცემული აქვს 6620 ლარი, აქედან ხელზე 500 ლარი, დანარჩენი გადარიცხვის გზით. წარმოდგენილი საბანკო გადარიცხვებით დასტურდება მ. ხ.-ს მიერ ადვოკატ მ. გ.-ის საბანკო ანგარიშზე შემდეგი გადარიცხვები: 18/04/2016 – 1000 ლარი; 14/02/2017 – 500 ლარი; 06/03/2017 – 600 ლარი; 17/03/2017 – 620 ლარი; 13/04/2017 – 500 ლარი; 11/01/2018 – 150 ლარი; 26/07/2018 – 900 ლარი; აგრეთვე, საქმეში წარმოდგენილია მ. ხ.-ს მიერ ადვოკატის სახელზე გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი - სალაროს შემოსავლის ორდერი, სადაც გადარიცხვის ოდენობაში მითითებულია - 1700 ლარი, თუმცა დოკუმენტიდან არ იკითხება რომელ თარიღშია შესრულებული გადარიცხვა. ადვოკატი მ. გ. უთითებს თავის ახსნა-განმარტებაში საქმესთან დაკავშირებით გაწეულს ხარჯებზე (იხ. პუნქტი 2.2). აგრეთვე, საქმეში წარმოდგენილია სააღსრულებო საქმეზე სააღსრულებო მომსახურების წინასწარი საფასურის გადახდის დამადასტურებელი 2016 წლის 22 აპრილის ორი დოკუმენტი - გადარიცხვის ერთი ნაწილი შეადგენდა - 438 ლარს, მეორე ნაწილი - 1256 ლარს - მიმღები კერძო აღმასრულებელი - როინი პერანიძე.

5.22 დგინდება, რომ ადვოკატი მ. გ. სხვადასხვა საქმეებზე 2016-2019 წლებში ადვოკატი მ. გ. საჩივრის ავტორს უწევდა საადვოკატო მომსახურებას. კერძოდ, მ. ხ.-ს წარმოადგენდა მოპასუხე - კერძო აღმასრულებლის - რ. წ.-ის წინააღმდეგ, მესამე პირი მ. ქ.; დავის საგანი ქმედების განხორციელება (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება); მ. ქ.-ის წინააღმდეგ, დავის საგანი: სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანა; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით აღსრულების შეჩერება (იხ. ცაგერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის და 2019 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებები); აგრეთვე, მ. ხ.-ს, როგორც მესამე პირის ინტერესებს წარმოადგენდა დავაში, სადაც მოსარჩელე იყო ი. კ., მოპასუხე კერძო აღმასრულებელი - რ. პ.; დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალდებულება; (იხ. 2017 წლის 20 აპრილის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვტილება); აგრეთვე, მოპასუხე თ. ხ.-

ის წინააღმდეგ, დავის საგანი უკანონო ხელშეშლის აღკვეთა; სააღსრულებო ფურცლის და იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმება, თანხის დაკისრება; (იხ. 2017 წლის 24 ოქტომბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება;2018 წლის 19 ივლისის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება); მოპასუხე გ. ბ.-ის მიმართ, დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება); მოსარჩელე ი. კ.-ის წინააღმდეგ (დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანა) – (იხ. 2019 წლის 14 თებერვლის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება).

5.23 საჩივრის ავტორის პოზიციიდან და წარმოდგენილი გადარიცხვის დოკუმენტების მიხედვით, არ ირკვევა კონკრეტულად ზემოაღნიშნული რომელი საქმისწარმოებისთვის რა ოდენობის ჰონორარი აქვს მ. ხ.-ს ადვოკატისთვის გადახდილი, ამასთან, მოიცავდა თუ არა აღნიშნული თანხა საადვოკატო მომსახურების გარდა, საქმისწარმოებისთვის საჭირო სხვა ხარჯებსაც, მათ შორის, სახელმწიფო ბაჟისათვის გადასახდელ თანხებს, სააღსრულებო წარმოებიდან გამომდინარე არსებულ ხარჯებს. შესაბამისად, კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს იმის თაობაზე, არსებობს თუ არა სახეზე გამოუმუშავებელი ჰონორარისა და კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრების დაუბრუნებლობის ვალდებულების სავარაუდო დარღვევა.

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №101/19 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. გ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/